საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

# აბაშიძე როსტომ ომერის ძე



აბაშიძე როსტომ

აბაშიძე როსტომ ომერის ძე ( დ. 23. II. 1935, ბათუმი), სპორტსმენი (ბერძნ.-რომ. ჭიდაობა). 1959 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი. 1962 მიენიჭა სსრკ სპორტის დამს. ოსტატის წოდება. სსრკ ნაკრების წევრი (1957 – 64). მსოფლიოს სამგზის (1958, 1962, 1963), სსრკ სამგზის (1957, 1960, 1962), ახალგაზრდობის III საერთაშ. მეგობრული სპორტ. თამაშების (მოსკოვი, 1957) ჩემპიონი. გამოირჩეოდა მაღალი ტექნიკით და ტაქტიკური აზროვნების უნარით. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

*ლიტ.*: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ნ., ჭიდაობას რა უნდა; თბ., 1965.

***ნ. გუგუშვილი***